

**სამართალწარმოება პანდემიის პირობებში - საჯაროობისა და სწრაფი
მართლმსაჯულების პრიციპების დარღვევის საფრთხეები**

ნინო ჩიხლაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი ქეთევან ერემაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესებისად შესაბამისად.“¹

ნინო ჩიხლაძე, 29.01.2021.

¹ წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ეფუძნება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთი კურსის, აკადემიური წერის ფარგლებში, ჩემს მიერ შესრულებულ, იდენტური სახელწოდების მქონე, გამოუქვეყნებელ, სიმულაციურ სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნაშრომს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესებისად შესაბამისად.

აბსტრაქტი

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიად გამოცხადებულმა კორონავირუსულმა დაავადება 2019-მა (COVID-19) პირდაპირი გავლენა მოახდინა, ფაქტობრივად, ყველა სფეროზე და მათ შორის სასამართლო სისტემაზეც. 2020 წლის მარტიდან დღემდე ქვეყნის მთელი მასშტაბით საქმეთა განხილვები, უმეტესად, გადადებულია, ზოგიერთი მათგანი კი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით დისტანციურად მიმდინარეობს. აღნიშნულს წინ უძღოდა ცვლილებები კანონმდებლობაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეკომენდაციები და საერთო სასამართლოების თავმჯდომარეთა ბრძანებები. პრაქტიკულმა შემთხვევებმა გვაჩვენა, რომ ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებები ვერ პასუხობს ადამიანის უფლებების რეალიზებისთვის დადგენილ სტანდარტებს, განსაკუთრებით კი სისხლის სამართლის საქმეებში, და ხელს უშლის ისეთი ფუნდამენტური პრინციპების დაცვას, როგორც სხდომათა საჯაროობისა და სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპებია. თუმცა კი, თავის მხრივ, ელექტრონული კომუნიკაციის ჩვეულებრივზე უფრო ხშირი გამოყენების მცდელობა პოზიტიური მოვლენაა ქართული მართლმსაჯულებისთვის.

ელექტრონულმა სამართალწარმოებამ, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახადა დაინტერესებული საზოგადოების ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე, ერთი მხრივ, ამ საკითხის მიმართ იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და მოსამართლეთა არაერთგვაროვანი მიდგომის და მეორე მხრივ, შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერის არარსებობის გამო. ტექნიკურ გაუმართაობას პრობლემა არ შეუქმნია მხოლოდ საქვეყნოობის პრინციპის დაცვისთვის, არამედ იგი პროცესების გადადების, გაჭიანურების და შესაბამისად, ბრალდებულის კონსტიტუციური უფლებების არასრულფასოვანი რეალიზების მიზეზიც გახდა. სამართალწარმოება პანდემიის პირობებში განსაკუთრებით საფრთხის შემცველი აღმოჩნდა პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი ბრალდებულებისთვის, რომელთა მიმართაც არა მხოლოდ საჯაროობისა და სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპების უგულებელყოფა ხდება, არამედ ირღვევა სამართლიანი სასამართლოს უფლების სხვა უმნიშვნელოვანესი

კომპონენტებიც, მაგალითად, დაცვის უფლებით სარგებლობა და ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის გარანტია.

კორონავირუსული დაავადება 2019 (COVID-19) ახლო მომავლისთვის უცვლელი რეალობაა და სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია მასთან იმგვარი ადაპტაცია, რომელიც მაქსიმალურად მცირე ზიანის მომტანი იქნება ადამიანის უფლებებისთვის. სამართალწარმოების თავისებურებები პანდემიის პირობებში ჯერ კიდევ არ არის სიღრსმიეულად შესწავლილი დარგის სპეციალისტების მიერ, თუმცა ინდივიდუალური დაკვირვებებით, სასამართლო პროცესების მონიტორინგით, არსებული ადგილობრივი თუ საერთაშორისო მიდგომებითა და რეკომენდაციებით შესაძლებელი ხდება მის ნაკლოვანებებსა და პოზიტიურ მხარეებზე მსჯელობა. ნაშრომის უმთავრესი მიზანია ელექტრონული კომუნიკაციების ხარვეზების გამოკვეთა და უკვე დაგროვილი საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების თავმოყრა, რომელიც პრაქტიკულ დანიშნულებას შეიძენს ქართული სასამართლო სისტემისათვის.

საძიებო/საკვანძო სიტყვები: ელექტრონული კომუნიკაციის საშუალება, სწრაფი მართლმსაჯულება, საჯაროობის პრინციპი, სამართალწარმოება, პანდემია.

Abstract

Coronavirus disease 2019 (COVID-19), declared as pandemic by the World Health Organization, has had a direct impact on virtually all areas, including the judiciary. Since March of 2020 hearings across the country have been postponed indefinitely and some of them are being held remotely via Webex. Additionally, legal framework has changed and High Council of Justice of Georgia has published recommendations for the chairmen of the common courts on how to prevent the spread of Coronavirus disease 2019. For one's part, the chairmen of the common courts implemented the recommendations into their orders. Unfortunately, real cases have shown that the Webex program doesn't meet the minimal standards for human rights protection, especially in criminal proceedings. Lack of proper technical support, public and timely hearing may be negatively affected by electronic hearing. Defendants' other rights,

especially defendants' under detention, such as confidential communication with a legal representative, are under the risk of violation.

Coronavirus disease 2019 (COVID-19) remains unchanged reality for a near future, so that countries have to adapt to it in a way that will cause as little harm as possible to human rights. Electronic litigation during the pandemic has not been fully studied yet, however, individual researches, monitoring of trials, research of existing local or international approaches and recommendations make it possible to discuss its shortcomings and strengths. The main goal of the thesis below is to identify these disadvantages of remote hearings and to gather all the best international experience. Therefore, it will have a practical purpose for the Georgian judicial system.

Key/searching words: Electronic litigation, remote hearing, public and timely hearing, recommendations, international approaches.